ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**№87. 8724089001**
თარიღი:**29/03/2024**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №3

ქ.ახმეტა, 27 მარტი, 2024 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსებ ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: დ.ავაზაშვილი, გ.ქიბროწაშვილი, გ.ონიაშვილი
გ.შაშიაშვილი, კ.მამულაშვილი, რ.გახუაშვილი,
გ.მამუჩარაშვილი

სხდომა გაიხსნა 11^{00} საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. **ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ;**

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

2. **ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გასაცემი მითითების ფორმის დამტკიცების შესახებ;**

/მომხსენებელი -ილია გუმაშვილი /

3. **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;**

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გელა შაშიაშვილმა წარმოადგინა თავისი წინადადება დღის წესრიგის პირველ და მე-2 საკითხებთან დაკავშირებით:

განმარტებითი ბარათების თანახმად, ორივე შემთხვევაში ნორმატიული აქტის ახალი რედაქციით მიღების აუცილებლობა გამოწვეულია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებით, რომლის მიხედვითაც ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა ზედამხედველობის სამსახური.

სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ მითითების გაცემისა და შემოწმების აქტის შედგენის საკითხები გათვალისწინებულია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის შესაბამისი ნორმებით, რომლებიც ამოქმედდა 2019 წლის 3 ივნისიდან.

ამ კოდექსის ამოქმედებამდე, 2018 წლის 7 მაისს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა მითითების გაცემისა და შემოწმების აქტის ფორმები (დადგენილებები №32 და №33).

იმავე კოდექსის ამოქმედების შემდეგ, 2020 წლის 3 ივნისის №8 დადგენილებით, (www.matsne.gov.ge. 04.06.2020, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.162.016526), საკრებულომ დაამტკიცა სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ფორმა, მათ შორის, მითითების ფორმა (დანართი #1) და შემოწმების აქტის ფორმა (დანართი #2), თუმცა იმავე დადგენილებით არ მომხდარა 2018 წლის 7 მაისის #32 და #33 დადგენილებების ძალადაკარგულად გამოცხადება, რაც სავალდებულო იყო „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-12 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებები განხორციელდა საკრებულოს 2024 წლის 7 თებერვლის №2 დადგენილებით. ცვლილების საფუძველს წარმოადგენდა მერიაში მომხდარი რეორგანიზაცია და ზედამხედველობის სამსახურის ცალკე სტრუქტურულ ერთეულად შექმნა.

შესაბამისად, ხსენებულ საკითხზე ახალი ნორმატიული აქტების მიღების საჭიროება არ არსებობს და მხოლოდ ფორმალურად უნდა მოხდეს საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის №32 და №33 დადგენილებების ძალადაკარგულად გამოცხადება „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მერიის მიერ უკან იქნა გათხოვილი დღის წესრიგის პირველი და მე-2 საკითხები, რომელიც ჩანაცვლდა 2018 წლის 7 მაისის #32 და #33 დადგენილებების ძალადაკარგულად გამოცხადების დადგენილებებით:

1. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების გახყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გასაცემი მითითების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის N32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

2. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების გახყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის N33 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს დამსწრე წევრებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის საკრებულოს სხდომისთვის წარდგენას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12^{10} საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი